ოქმი:**ო63. 63260973**
თარიღი:**07/04/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. სამტრედია. 3 აპრილი, 2026 წელი.

2026 წლის 3 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული 2026 წლის 31 მარტის და 3 აპრილის წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 25 მარტის № 62542 წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

3. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (7 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 3 აპრილის*** N62-622609340 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება 2026 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების საკითხს.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმები“-ს, პირველი მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 მაისამდე სრულად გაუნაწილებლობის შემთხვევაში, დარჩენილი თანხა განაწილდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

(მომართვის N62-622609340 3/04/2026 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6326093001-63 3/04/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

2. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 31 მარტის*** N62-622609073 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 37271.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.203), ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 20873.00კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.73.348) და ქალაქ სამტრედიაში მდებარე 606.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.60.638) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს.

(მომართვის N62-622609073 31/03/2026 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6326091001-63 1/04/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 25 მარტის № 62542 ***წერილობითი*** მომართვა, საკითხი ეხება 2026 წლის 24 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოქალაქე **გიორგი კალაძის** (პ/ნ: 37001024917) M26003624 განცხადებას, რომლითაც მოთხოვნილია ნომრის მინიჭება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით - 34.08.71.230. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია - მუნიციპალიტეტი სამტრედია, ადმინისტრაციული ერთეული ქ. სამტრედია, ნაკვეთი 230. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში, შესაბამისი უძრავი ნივთის მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების

შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ითხოვს, გავუწიოთ სამართლებრივი დახმარება და მივაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

(მომართვის № 62542 25/03/2026 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:06-63260846-63 25/03/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი